სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

14 სექტემბერი 2026

GOV N 1529/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამეურნეო ჭრით ხეტყის დამზადების მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის (N315) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, მე-80, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 27 ივლისის დასკვნის N005552626, „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მერქნული რესურსის, სააგენტოს მიერ დამზადებული მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ტყის არამერქნული რესურსის საკუთრებაში და ტყით სპეციალურ სარგებლობის უფლების ელექტრონული აუქციონის გზით გაცემის მიზნით ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2026 წლის 24 ივლისის N1061/ს ბრძანების, „ხე-ტყის დამზადების მიზნით აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 28 ივლისის N1074/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 11 სექტემბრის N16768 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს N315 ელექტრონული აუქციონი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:

   ა) **ლოტი N1 -** მესტიის სატყეო უბანი, ბეჩოს სატყეო ; N19 კვარტლის N4 ლიტერში, № 008-01-0053027 ტყეკაფში, სამეურნეო ჭრით, სულ **1108,24** მ3 (ნაძვი და სოჭი) ხეტყის დამზადების მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემისათვის.

ბ) **ლოტი N2 -** მესტიის სატყეო უბანი, ლახამულას სატყეო ; N29 კვარტლის N8 ლიტერში, № 008-01-0053031 ტყეკაფში, სამეურნეო ჭრით, სულ **1522,5** მ3 (ნაძვი, სოჭი და წიფელი) ხეტყის დამზადების მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემისათვის.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“_ს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბესიკ ამირანაშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო